ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში
სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიისგამოცემის და უნივერსიტეტის
ლოგოსა და სახელის მინიჭების წესი

1. ეს წესი არეგულირებს ილიას საახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომების/მონოგრაფიები გამოცემისა და მათთვის უნივერსიტეტის სახელის და ლოგოს მინიჭების პროცესს.

2. საერთაშორისო რეცენზირების საფუძველზე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აქვეყნებს სამეცნიერო ნაშრომებს/მონოგრაფიებს და ანიჭებს მათ უნივერსიტეტის სახელსა და ლოგოს.

3. სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია წარედგინება აკადემიურ საბჭოს ფაკულტეტის/სკოლის, კვლევითი ინსტიტუტის ან ცენტრის მიერ. წარდგინებას თან უნდა ერთვოდეს:
   ა) ნაშრომის/მონოგრაფიის გამოყენების მიზნობრიობა შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლების პროცესში;
   ბ) ცნობა ნაშრომის/მონოგრაფიის პლაგიატზე შემოწმების შესახებ და განაცხადი, რომ იგი არ შეიცავს პლაგიატს;
   გ) ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველსაყოფად (რეზიუმეს სარეკომენდაციო სტრუქტურა იხილეთ დანართში # 1).
   დ) ინფორმაცია ტირაჟის და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

4. სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის საერთაშორისო რეცენზირებას ახორციელებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ინგლისურენოვანი რეზიუმე გადის ორმხრივ ბრმა რეცენზირებას მინიმუმ ორი რეცენზენტის მიერ. მიღებული რეცენზიების საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნა ეგზავნება აკადემიურ საბჭოს.

5. აკადემიური საბჭო იღებს გადაწყვეტილებას სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის გამოქვეყნებისა და მისთვის უნივერსიტეტის სახელისა და ლოგოს მინიჭების თაობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დასკვნის საფუძველზე.

6. უნივერსიტეტის გამომცემლობაში ან სხვა გამომცემლობაში უნივერსიტეტის სახელით და ლოგოთი დაბეჭდილი სამეცნიერო ნაშრომის/ მონოგრაფიის 3 ეგზემპლარი გადაეცემა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას.
7. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია იბეჭდება უნივერსიტეტის გამომცემლობაში, დაცული უნდა იყოს გამომცემლობის მიერ დადგენილი შესაბამისი ტექნიკური პირობები.

8. სამეცნიერო ნაშრომი/მონოგრაფია , რომლის რეფერირება და უნივერსიტეტის ლოგოსა და სახელის მინიჭება უზრუნველყოფილ იქნა ამ წესის შესაბამისად, შეიძლება დაიბეჭდოს სხვა გამომცემლობაში.

9. ფაკულტეტის/სკოლის საბჭოს, აკადემიური საბჭოს ან რექტორის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაიშვას გამონაკლისი სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის გამოცემასთან დაკავშირებით.

რეზიუმეს სტქრუქტურა
(რეკომენდაციები)

საერთაშორისო რეცენზირების უზრუნველსაყოფად სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის ავტორმა უნდა წარმოადგინოს ვრცელი ინგლისურენოვანი რეზიუმე, რომელშიც მაქსიმალური სიზუსტით და, ამავე დროს, შეძლებისდაგვარად მოკლედ უნდა აღწეროს ნაშრომი, მისი ძირითადი მიზანი და სამიზნე აუდიტორია, საკვანძო საკითხები (საჭიროების შემთხვევაში მნიშვნელოვანი დეტალებიც). სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის შემთხვევაში აღწერილი უნდა იყოს პრობლემატიკა და ნაშრომის აქტუალობა, საკვლევი საკითხი და მეთოდოლოგია, კვლევის შედეგები, და მისი სავარაუდო გავლენა დარგის განვითარებაზე.

სასურველია, რომ რეზიუმე არ იყოს გამოსაქვეყნებელი ნაშრომის/მონოგრაფიის საერთო მოცულობის 20%-ზე ნაკლები. რეზიუმეში ნაშრომის/მონოგრაფიის შინაარსის წარმოჩენის მიზნით, სასურველია, აღიწეროს სტრუქტურა და მოცემული იყოს მისი თითოეული ნაწილის/თავის/ქვეთავის მოკლე ანოტაცია. რეზიუმეს უნდა დაერთოს სარჩევი და ბიბლიოგრაფია. რეზიუმეს ასევე შეიძლება თან დაერთოს ნებისმიერი სახის რელევანტური მასალა (მაგ. ილუსტრაციები, კითხვარები, ცხრილები და ა.შ.).

სამეცნიერო ნაშრომის/მონოგრაფიის სარეკომენდაციო სტრუქტურა ასეთია:

1. ძირითადი პრობლემატიკა (რა არის ნაშრომის ძირითადი მიზანი? როგორია ნაშრომის კონტექსტი? რამდენად აქტუალურია?);
2. მეთოდოლოგია (რა მეთოდებით არის შესწავლილი საკვლევი საკითხი/პრობლემა? როგორ წარიმართა კვლევა?);
3. მიგნებები და ინტერპრეტაცია (რა არის კვლევის შედეგები? რა დასკვნების გაკეთების შესაძლელობას იძლევა მიღებული შედეგები საკლვევ საკითხთან მიმართებაში?);
4. დასკვნა (როგორ უკავშირდება მიღებული შედეგები პრობლემის კონტექსტს? რა არის შემდეგი კვლევის საჭიროება?);